პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი ვამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ოთხშაბათი 12 ოქტომბერი № 239 (16979) ფასი 2 კაპ. 1977

ოქტომბრის გზით სამოცი წლის განვითარების მთელი გამოცდილება ადასტურებს, რომ ჩვენი ძალა პარტიისა და ხალხის, უღლვები ერთიანობაა. ეს არის სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აყვავების, ყველა ჩვენი გამარჯვების წყარო.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ლომიძის პლაკატი.

პარტორგანიზაციის ცხოვრების სარკე

ამაღელვებელი, სასიხარულო დღეებია ჩვენს ქვეყანაში. ხულ ახლახან დამთავრებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ, ახალი კონსტიტუციის თაობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ და სიტყვებმა უდიდესი შინაარსი მიანიჭეს მთელ ჩვენს მუშაობასა და ცხოვრებას.

დიდი ოქტომბრის ამ იუბილესწინა დღეებში მიღებულია განვითარებული სოციალიზმის ძირითადი კანონი. მეხუთე დღეა, რაც ახალმა საბჭოთა კონსტიტუციამ, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაიწყო მოქმედება, სიცოცხლე, მუშაობა...

სწორედ ორი უდიდესი, უმნიშვნელოვანესი მოვლენა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის მზადება და ახალი კონსტიტუციის მიღება განსაკუთრებულ ელფერს აძლევს, პასუხისმგებლობას მატებს მთელ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში პირველ ოქტომბერს დაიწყო და დეკემბრამდე გაგრძელდება.

როგორც ცნობილია, წელს საანგარიშო-საარჩევნო კრებები ეწყობა ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში, სადაც ირჩევენ ბიუროს, მდივნებსა და მათს მოადგილეებს. ამას, როგორც ყოველთვის, წინ უძღვის პარტიული ჯგუფებისა და საამქრო ორგანიზაციების კრებები. ხელახლა არ აირჩევენ მხოლოდ იმ პარტკომებს, რომლებსაც სკკპ წესდების თანახმად ორი-სამი წლის უფლებამოსილება აქვთ მინიჭებული.

ერთი სიტყვით, ამ მრავალისმეტყველ, მჩქეფარე და დიდი ალმავლობის დღეებში მიმდინარეობს კომუნისტთა საქმიანი საუბარი, თუ როგორ იშუშავა მთელ საანგარიშო პერიოდში ამა თუ იმ არჩევითმა პარტიულმა ორგანომ, რა უნდა გააკეთოს მან მომავალში სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ახალი კონსტიტუციის თითოეული მუხლის, თითოეული სიტყვის განხორციელებისათვის.

როგორც დიდ მდინარეს პატარა ნაკადულები ავსებენ და აძლევენ ძალასა და ღონეს, ისე ყოველი პარტიული ორგანიზაციაც თავისი წევრების ინიციატივიანი, აქტიური მოქმედებით არის ბრძოლისუნარიანი.

სწორედ ამის ღრმა შეგნებით ლაპარაკობენ ამჟამად პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები. ბევრი კრება, რომელიც გაიმართა თბილისში, რუსთავში, თელავში, გამოირჩეოდა გულახდილი მსჯელობით, კომუნისტთა პრინციპული ურთიერთმომთხოვნელობით, თავიანთი დიდი და პასუხსაგები ამოცანების ღრმა გაგებით.

ყოველივე ამას გულმოდგინედ და საფუძვლიანად მომზადებულ საანგარიშო მოხსენიებებთან ერთად დიდად ოწყობს ხელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც თანამიმდევრულად უჭერს მხარს და ამკვიდრებს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებსა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპებს, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის კურსს, უკანასკნელ წლებში პრაქტიკაში შემოიღო პარტიულ კონფერენციებზე კომუნისტთა ინფორმირება პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა, მომდევნო პლენუმებისა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე. ამჟამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოხსენებას აკეთებს უშუალოდ პირველადს ორგანიზაციებში.

ეს ფორმა საკმაოდ შეესაბამება ჩვენი პარტიის, როგორც ნოვატორული პარტიის სულისკვეთებას. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის სულისკვეთებას. ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს უშუალო მიმართვა თითოეული კომუნისტისადმი, უეჭველია, დემოკრატიული საფუძვლების განვითარებასთან ერთად ხელს შეუწყობს მათ გააქტიურებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, რომელიც დაამტკიცა ამას წინათ გამართულმა მეშვიდე პლენუმმა, კოლექტიური აზრის, კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია. ღრმა და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ ეს დოკუმენტი პრესაში გამოქვეყნდა, რაც შესაძლებლობას აძლევს კომუნისტებს წინასწარ, საანგარიშო-საარჩევნო კრებამდე გაეცნონ მას, გამოიტანონ დასკვნები და უკეთ გაერკვნენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებიდან გამომდინარე თავიანთ კონკრეტულ ამოცანებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, აგრეთვე საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების წევრები და წევრობის კანდიდატები, სხვა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებების მუშაობაში, მეორე საკითხზე ინფორმაციებით გამოვლენ და საათანადო ყურადღებას დაუთმობენ მთავარ მიმართულებებს.

ცხადია, ყოველ კრებაზე უურადღების ცენტრში იქნება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე და ამ სესიის წინ გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, საბჭოთა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, სხვა მნიშვნელოვანი მასალები. როგორ მოვაწყოთ ამ დიდი ისტორიული დოკუმენტების საფუძვლიანი შესწავლა და განმარტება? როგორ ავაგოთ მთელი ჩვენი საგიტაციო, პროპაგანდისტული, ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომ ყველა მშრომელს კარგად ესმოდეს ჩვენი საზოგადოებრივი წყობის პრინციპები? — ეს დღეს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის უპირველესი საკითხია და კომუნისტებმაც უკეთ უნდა მოიფიქრონ, თუ, როგორ გამოიყენონ საამისოდ იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის არსენალიდან როგორც ნაცადი, ისე ახალი საინტერესო ფორმები და მეთოდები.

ყოველ ჩვენგანს გულწრფელად ახარებს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ბოლოდროინდელი საქმიანობა. ეს ეხება ყველა ასაკის, ეროვნებისა და ენის ადამიანს. ეს ეხება ჩვენ ყველა ერთ-ერთ ამ ფრთიანი ფრაზა,

კომუნისტი აქტიური მებრძოლია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს მოუწოდებს მაღალი პარტიული პრინციპულობისა და მომთხოვნელობის კოზიციებიდან განიხილონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პარტბიუროებისა და მდივნების საანგარიშო მოხსენებანი, ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, ყოველმხრივ გააანალიზონ სამეურნეო საქმიანობა, შრომითი კოლექტივების ცხოვრების პარტიული ხელმძღვანელობის დონე, დაამტკიცონ, რომ გული შესტკივათ რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტისათვის, შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებიდან „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

ჩვენი წრფელი გულისთქმა

● მშრომელთა ოცნების მფლობელი ● დიდი მოგვალეობა
● კმაყოფილების უღრმესი გრძნობა ● ხალხის ნდობა

„ჩვენ გაძლევთ განაწესს“ — მოახსენეთ სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას კრების მონაწილეთა სახელით, ხაბეოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით ჩვენი უღრმესი მადლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტს, პოლიტბიუროს, პირადად ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმ ბეჭმარიტი შემოქმედებითი, ნდობითა და კეთილმოსურნეობით აღსავსე ატმოსფეროსათვის, რომელშიც ჩვენ ცხოვრობთ და ვშრომობთ და რომელსაც ამჟერიდან მრავალი წლის მანძილზე გაიცხესრუნეს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონის ისტორიული ოპტიმიზმი...

„ჩვენ გაძლევთ განაწესს“ — ხმა მიხცეთ ხაბჭოთა საქართველოს მშრომელთა სახელით სხრ კავშირის ახალ კონსტიტუციას — განვითარებული სოციალიზმის ხაზოგადოების კონსტიტუციას, პლანეტის, ახალი სოციალური წესთაღრიცხვის ამ უდიდესი დოკუმენტის მიღებას...

საქართველო მოწინავე მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა, პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენელთა რესპუბლიკური კრების მონაწილეთა ეს განაწესი, რომელიც სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის რიგგარეშე სესიაზე საქართველოდან წარგზავნილ დეპუტატებს მოგვეცა, მთელი ჩვენი მუშაობის ნამდვილ პროგრამად, სადეპუტატო მოდგაწეობის კომპასად გადაიქცა.

დიახ, ჩვენ მოვახსენეთ ამ ისტორიული სესიის მონაწილეებს ქართველი ხალხის გულისთქმა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ფიქრები, მისწრაფებები პარტიის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მზადყოფნის საქმეში, იმ დიდი შემოქმედებითი აღმავლობის, აღფრთოვანებისა და მხარდაჭერის შესახებ, რასაც ისინი კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს და სესიისადმი იჩენდნენ. ისიც ვთქვით, რომ უდიდესი შრომითი ენთუზიაზმის მეოხებით რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით გაანალდებენ დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, წლევანდელი წლის დავალებებს. მშრომელთა მთელი ძალები მოხმარდება იმას, რომ გაიზარდოს რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში, ახალ საფეხურზე იქნას აყვანილი ჩვენი დიდი ხამშობლოს ეკონომიკური ძლიერება და მისი კულტურული აყვავება.

და ყოველივე ამას მივალწევთ იმ დიდი მზრუნველობისა და ყოველმხრივი დახმარების შედეგად, რასაც საქართველოსადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი იჩენენ. ეს ნამდვილი მამობრივი ზრუნვა ნათლად არის გამოხატული იმ დიდმნიშვნელოვან დადგენილებებში, რომლებიც უკანასკნელ წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი რესპუბლიკის შესახებ მიიღო.

დიდმნიშვნელოვანია ის სახეკეთო შედეგები, რომლებსაც საქართველომ უკანასკნელ წლებში მიაღწია. ამაზე ნათლად და მკაფიოდ მოვახსენეთ სესიის მონაწილეებს. კერძოდ, აღვნიშნეთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი საიუბილეო წელს 107 პროცენტს შეადგენს. ქვეყანა მიიღებს 160 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას. სიხარულითა და დიდი კმაყოფილების გრძნობით ვთქვით, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საიუბილეო წლის დამლევს პრაქტიკულად ჩამორჩენილი საწარმოები აღარ იქნება. ბევრ რამეს გავაკეთებთ სოფლის მეურნეობის დარგშიც. წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა შარშანდელთან შედარებით შეადგენს 6-8 პროცენტს. სახელმწიფოს მიეყიდა დიდძალი ჩაის ფოთოლი, ასევე დიდი რაოდენობით მიეყიდება ყურძენი, ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული და ა. შ.

სესიის საპაგო ტრიბუნიდან დეპუტატებმა ამომრჩეველთა დავალებით შეიფიცეთ ყველა ჩვენი მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებს, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდებით, ეამრავლებთ და განვამტკიცებთ ჩვენს უდიდეს საუნჯეს — ხაბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხთა ლენინურ მეგობრობას. ამასთან ერთად დიდი მადლობა მოვახსენეთ ყველას ამ დიდი და უანგარო წვლილისათვის, რომელიც საქართველოს ეკონომიკასა და კულტურის აყვავებაში შეიტანეს ხაბჭოთა დიდ ძმურ ოჯახში გაერთიანებულმა ხალხებმა.

ჩვენ, საქართველოს მშრომელთა წარგზავნილებს, არ შეიძლება არ გადმოგვეხადა მადლიერების უდიდესი გრძნობა იმ დიდი ძეგლებისათვის, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის მზრუნველობის შედეგია ის, რომ საქართველოში აღმოიფხვრა ახლო წარსულის ბევრი ნეგატიური მოვლენა, ალდგენილია ცხოვრების ლენინური ნორმები, რომ ქართველი ხალხი ახლა განსაკუთრებით მხნედ და ხალისიანად გრძნობს თავს.

მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ისტორიულ სესიაში მივიღე მონაწილეობა. ეს ბედნიერება ერთიულებს, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს გვხვდა წილად. ამ დიდი ისტორიული მოვლენის მოწმენი და მონაწილენი რომ ვართ, ამაში დამსახურება ჩვენს ამომრჩევლებს მიუძღვით. სწორედ მათ გამოვიცადეს უდიდესი ნდობა და აგვირჩიეს საბჭოთა პარლამენტის წევრებად. და ჩვენც ისე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა, დიდი გულისხმიერებითა და ხოჯარულით შევასრულეთ მთავარი განაწესი — ერთსულოვნად მივეცეთ ხმა ჩვენი ეპოქის უდიდეს დოკუმენტს — სხრ კავშირის ახალ კონსტიტუციას.

ხაბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია სწორედ ის ძირითადი კანონია, რომელსაც ასე მოელოდა ჩვენი ხალხი. იგი ნათლად ასახავს ხაბჭოთა ქვეყნის ხალხების მონაპოვრებს, ჩვენს ოცნებებს, მისწრაფებებს, იმედებს, ახახავს ხაბჭოთა ადამიანების უფლებებს, მოვალეობებს, ამკვიდრებს მიღწეულს და გვიახავს კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პერსპექტივებს.

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ხაბჭოთა ქვეყნის კონსტიტუციის მიღებას. ამ დიდ ზეიმსა და დღესასწაულში მოწინავეთა რიგებში დგანან ჩვენი ამომრჩეველები, განაწეხის მომცემნი, საქართველოს მშრომელები.

დიახ, ხაქართველოს მშრომელთა წარგზავნილებმა უდიდესი სიხარულით მივეცით ხმა ახალი კონსტიტუციის მიღებას და ამით შევასრულეთ ის განაწესი, რომელიც სესიაზე გამგზავრების წინ მოგვეცა.

არ შემიძლია დღეს არა ვთქვა ის, რასაც ახლა მე და ჩემი მეგობრები განვიცდით: როცა კვლავ და კვლავ ვეცნობით სხრ კავშირის კონსტიტუციას, ღრმად ვუფიქრდები მის თითოეულ მუხლს, თითოეულ სტრიქონს, კიდევ უფრო გინმტკიცდება უდიდესი მოვალეობის ადამიანად გრძნობა, რომ შემოქმედებითად, შინაარსიანად, მონდომებით, ენერგიულად იბრძოლო ხუთწლედის ახალი მოჭნების ასაღებად, შრომის ფრონტზე საგმირო საქმეების მოსაპოვებლად. ასეთი ამაღლებული განწყობილებით, შემოქმედებითი ფიქრებით, ახალი ოცნებებითა და მომავლის ხაუკეთესო იმედებით მივიღე დღეს მონაწილეობის ხაქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის მუშაობაში, რომელიც სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის რიგგარეშე სესიის მუშაობის შედეგებს, სხრ კავშირის ახალ კონსტიტუციას ეძღვნება და რომელიც პარტიის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეში საქართველოს მშრომელთა მზადყოფნის ნამდვილი დათვალიერება გახდება.

ვლადიმერ ასათიანი,

სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობ-ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი.

* * *

სურამში: თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვლადიმერ ასათიანი ხელის შთაბეჭდილებებს უზიარებს ამხანაგებს.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პატარა კოლექტივის დიდი ძალა

პარტჯგუფი კეთილ საქმეთა ორგანიზატორი

ესი პარტიული ჯგუფია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ახლა ყველგან ანგარიშგება-არჩევნებია. კომუნისტები აჯამებენ ერთი წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობას, სახავენ მომავლის ღონისძიებებს.

ჯგუფის კრებებზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის **1976** წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

ჩვეშოთ ვაქვეყნებთ „კომუნისტის“ ხაკუთარი კორესპონდენტის ს. ხარაზიშვილის წერილს ქარხნის ერთ-ერთი პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრების შესახებ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

...დღის ცალის პარტიული ჯგუფი. ასე უწოდებენ იმ ჯგუფს, რომელშიც საკლინგი საამქროს ოცან „900-ის“ ელექტრომოქანიკარ მოწყობილობათა 12 შემკეთებელი კომუნისტია გაერთიანებული. მათ შორის ერთი პარტიის წევრობის ანდიდატია.

ელექტრომექანიკოსთა ჯგუფის ანგარიშგება-არჩევნები ამ ბედნიერ დღეს დაეთხვა, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიამ ქვეყნის ძირითადი კანონი — კონსტიტუცია დაამტკიცა, იმ დღეს, რომელიც ამიერიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საყოველთაოსახალხო ღღესასწაულის, კონსტიტუციის მიღების დღად დარჩება.

პარტჯგუფის ერთ-ერთი წევრისათვის — ოცან „900-ის“ უფროსს ოსტატ-მექანიკოს ლევან ღვინანაძისათვის, ეს იგი მრავალმხრივ შესანიშნავი და მარად დაუვიწყარი იქნება. საქმე ის არის, რომ 7 ოქტომბერს საწარმოს სხვა ბიდნიერ ახალგაზრდა კომუნისტებთან ერთად ქარხნის პარტკომის მდივანმა ვ. ბერძენიძემ მას სკკპ წევრის ბილეთი გადასცა. ლევან ღვინანაძე რუსთავის მკვიდრია, აქ მიიღო სიმწიფის ატესტატი. შემდეგ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. იგი შთამომავლობით მეტალურგია. შამამისი, ოთარ ღვინანაძე, მეტალურგია პირველ თაობას ეკუთვნის, რომელიც დონბასში, ტრაჩენოკოოს ქარხანაში ეუფლებოდა ამ ფაქიზ პროფესიას. შემდეგ იგი მრავალი წლის მანძილზე ეჭ, ამ საამქროში მუშაობდა უფროსის ამხეურებლად, ახლა კი დამსახურებულ პენსიაზეა გასული. შვილი მამის ადგილს დაადგა.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ — 1975 წლიდან ინჟინერი ლევან ღვინანაძე ამ საამქროშია. ჯერ ოსტატად მუშაობდა, წლიწადს მაისიდან კი უფროს ოსტატად გადაიყვანეს. ცოტა ხნის წინათ ლენინზე მაგნიტოგორსკში ფიზიკა ელექტროენერგეტიკის ასამაღლებელ კურსებზე და ქვეყნის ამ ერთ-ერთ უძველეს და ფიდიეს მოწინავე მეტალურგიულ ფილიალში იხილეთ ეროდეს.

ახლა ეს იმ აქ არის, ჯგუფის კრებზე, და სხვებთან ერთად ამბობენ ანგარიშს თანამოაზრეებს, თუ როგორ იღვწოდა და შრომობდა ქვეყნის, საერთო საქმის სასარგებლოდ. მაგრამ, ანა მარტო ის თქმა, რომ დოეს ამ პარტიული ბილეთი გადასცეს და ეგი ამიერიდან ლენინური პარტიის სრულფასოვანი წევრია, თავისთავად ყველაფერზე არ მეტყველებს?!

საანგარიშო მოხსენების შემდეგ ჯგუფორგმა გ. ჯავახიშვილმა დამსწრეთ ააცილო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების ძირითადი დებულებები და ამ მხრივ ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობაზე შეჩერდა. მთელი კრება და გამოსვლები ამ მოხსენების სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. ჯგუფის კომუნისტებმა მთლიანად მოიწონეს მოხსენება და განაკიცხეს, რომ ბოლოდროს კომუნისტური პრინციპულობით იბრძოლებენ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის.

შემკეთებელთა შრომა ძირითადი პროფესიებისაგან განსხვავებული და სპეციფიკურია. მათი მუშაობა გეგმის შესრულებითა და პროცენტული მაჩვენებლებით არ იზომება, ამიტომ შემკეთებლების მიღწევებისა და ნაკლოვანებების გამოყოფა საამქროს მაჩვენებლებიდან ძნელი კია, შეუძლებელია. თუ მოწყობილობა და მექანიზმები შეუფერხებლად მოქმედებენ, მინიმუმამდეა შემცირებული ავარიები და ძაბულებითი მოცდენები, თუ ტბენია მუდამ საბრძოლო მზადყოფნაშია, რეგულარულად, გრაფიკის დაცვით მიმდინარეობს საგეგმო-პროფილაქტიკური და სხვა სახის შეკეთებები, მაქსიმალურად ფენებენ მოწყობილობას, ეს შემკეთებლების ვაჟაცობაა. მათი შრომა მთელი კოლექტივის ჯაფასა და გარჯას ერთვის, მასშია ჩაქსოვილი და საამქროს სიერთო შედეგებით გამოხატება.

მგლნაგებს კი ეი როგორი შედეგები აქვთ: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მათ ოკისრეს წლის დამლეგამდე გეგმის გადამეტებით სამშობლოსათვის 5 ათასი ტონა ნაგლინი მეალა, ფაქტიურად კი ვადამდე, ცხრა თვეში, ოთხერ და კიდევ უფრო მეტი გადაჭარბებით დაანაღდეს პირობა — ათასობით ტონა ნაგლინი გამოუშვეს.

რაც შეეხება „900“ ოცანს, რომელსაც ძირითადად ამ პარტიული ჯგუფის ელექტრომექანიკოსები ემსახურებიან, აქ 9 თვეში საიუბილეო წლის ვალდებულებით ნაკისრი 4 ათასი ტონა ნაგლინის ნაცვლად 693 ტონა პროდუქცია ჩაბარეს.

ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა მეტალურგ კომუნისტთა საბრძოლო ამოცანაა. შრომის სწორი ორგანიზაციის, ტექნოლოგიური რეჟიმისა და ტექნიკური პირობების ზუსტი დაცვის შედეგად თვალსაჩინო ნაკრძალებია მოწეული. ერთ წელიწადში ქარხნის ეჭვსი სახეობის პროდუქციამ დაიმსახურა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. აქედან სამი ნაწარმი ნაგლინი საამქროშია დამზადებული, ამ საამქროს პარტიული ჯგუფის კომუნისტები ამაყობენ ამით, რომ მომავებულ გამარჯვებაში მათი წვლილიც არის.

პარტიული ჯგუფის ერთ-ერთ მოვალეობაა ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა, პარტიის რიგებში შესაძლოდ მათი მომზადება. ჯგუფორგმა გ. ჯავახიშვილმა ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის მაგალითად ლ. ღვინანაძე მოიყვანა, რომელიც კომკავშირის რიგებიდან ჯერ სკკპ წევრობის კანდიდატად მისაღებად მოამზადეს, ხოლო წლიწადს პარტიის წევრი გახდა.

ᲛᲘᲬᲐᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ, ᲙᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ

ᲙᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ეს-ის იყო სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მემცენარეობის დარგობრივ პარტიულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კრება მთავრდებოდა... არჩევნების წინ, შესვენებაზე, ერთნი საარჩევნო ბიულეტენებს ავსებდნენ, სხვები კი კრებიდან გამოყოლილ ცხარე კამათში იყვნენ ჩაბმულნი. ჩანს, მოხსენებაში ნათქვამი მიზანს მოხვდა. კრებრკაბ კი ასე ითლად ყველა რიდი ატანს!

„კომუნისტის“ ხაკუთარმა კორესპონდენტმა **ვლ. ᲛᲐᲥᲔᲓᲝᲜᲘᲫᲔ** კრების მონაწილეთა ერთ ჯგუფს რამდენიმე კითხვი მიმართა. ხაყურადღებოა მათი აზრი საანგარიშო მოხსენებასა და მოკამათეთა გამოსვლების ირგვლივ, ამის შესახებ. თუ რა პასუხისმგებლობას გრძნობენ პირადად და კოლექტივთან ერთად ამ დიდი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში, სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში...

გთავაზობთ ამ კრების ჩანაწერებს:

საანგარიშო კრებაზე ასე იდგა საკითხი: „პარტიXXV კონგრესის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციის მიერ წეული მუშაობის და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე კომუნისტთა როლისა და პასუხისგებლობის ამაღლების შესახებ“.

კომუნისტებმა ერთმანეთს პირუთვნელად, პარტიული ინციპულობით უთხრეს სათქმელი. კრების დადგენილებამაც ნაჩვენერა, რომ პარტიული ორგანიზაცია მომავლში ვერ შეურიგდება ჩამორჩენებს, ნაკლოვანებებს შეობაში. მინდობილი საქმისათვის კომუნისტთა უპასუხისგებლობასა და გულგრილობას. ამიტომაც კომუნისტები ახლა უფრო მწყავედ განიცდიდნენ კრიტიკას.

— კრებაზე ლაპარაკი, ვაკრიტიკებ იოლია, ხოლო როა საქმე საქმეზე მიდგება, დახმარებისათვის სიტყვაძვეები და უხელფეხონი არიან, — ცხარობდა ახალგაზრდა ელექტრიკი, ბრიგადიერი თამაზ ნატრაშვილი, ...ბანი ჯაჭრეობენ ადრეე არ იცოდა ყველამ — გამოგამ თუ პარტიულმა ორგანიზაციამ! რამდენჯერ გვითქამს ეს კრებებზე, მაგრამ პარტიულმა ბიუროომ არცთხელ საქმეო ზომები არ მიიღო. სიტყვასაც, დადებილებასაც მაშინ აქვს ფასი, როცა მას ასრულებენ. მოდგრამაზე ნოსაანაკი საბოტენ ნიადაგი ბაზაფხულზე ვახნთ! ვიან! ბავთეკეთ, შემეუვ კი მუშახელიც არ ყოფილ ხაკმარისი, რომ იგი დაგვეფშავებინა. შედეგიც ალალია: — გეგმები სანახევროდაც ვერ შეასრულეთ. ეა კი, ვინ არის დამნაშავე? — ბრიგადირი?!

ახალგაზრდა კომუნისტს გული სტკივდა, რომ ის ამ ბრ. გამონაკლისი იყო. კოლმეურნეობამ ... ყველა დარგში — მარცვლეულის წარმოებაში, მეხილეობასა თუ მეცენახეობაში დავალებები პირნათლად შეასრულა: სარეგბილეთ თარილისათვის შესრულდება აგრეთვე მეცხოველეობაში ნაკისრი ვალდებულებაც. თამაზი ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი კი. მით უმეტეს კომუნისტები, თვალს ვერ ასწორებენ კოლექტივს, სოფელს. ... თანდაგა-მიხეილ მჭედლიშვილი. ფარნაოზ ფასუფალი, ...

საქართველოს ტელეგრაფი გაერთიანებული

მსოფლიოს ამბები

დიდი ოქტომბრის ეპოქა

ყველა ხალხის კუთვნილება

ახალი ამბების სააგენტოს დელის პრეზიდენტის მიერ გადაცემული ანალიტიკა კითხულობს უპასუხებს ინდოეთის მმართველი პარტიის — ჯანატა პარტიის თავმჯდომარე ჩანდრა შეკჰარი.

ჯაფობრიობის ისტორიაში არ ყოფილა მოვლენა, თავისი მნიშვნელობით და მსოფლიოს განვითარების მიმდინარეობაზე ზეგავლენის ძალით ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას რომ უტოლდებოდეს. პირველად აღმოჩნდნენ წმრომელი მასები პოლიტიკური ბრძოლის ცენტრში, მის ავანგარდში, წარმატებით მოახდინეს რევოლუცია და შეუდგნენ საზოგადოების გარდაქმნას უმრავლესობის ინტერესების შესაბამისად.

რუსეთის მშრომელი ხალხის მაგალითმა, ძალუფლება ხელში რომ აიღო და თავისი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი გახდა, მთელი მსოფლიოს ხალხები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად ალაფრთოვანა. ფასდაუდებელია ოქტომბრის იდეების გავლენა ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. მან მძლავრი იმპულსი მისცა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ინდოეთში სოციალისტური მოძრაობის განვითარებას.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრი ლიდერი, მათ შორის ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც შემდეგ დამოუკიდებელი ინდოეთის პრემიერ-მინისტრი გახდა, მრავალჯერ ყოფილა საბჭოთა კავშირში, რათა გასცნობოდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთში განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს. ხაბჭოთა ხალხის მიღწევებმა განაპირობა ინდოეთის დამოუკიდებლობისადმი რწმენა და იმის შეგნება, რომ საჭირო იყო ხაბჭოთა რუსეთის დადებითი გამოცდილების გამოყენება. ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობას.

ჩვენ ბუდამ გვეხსომება, თუ როგორ გვიწვდიდა დასმარების ხელს საბჭოთა კავშირი ინდოეთი ხალხის ძნელბედობის უამს. ეს იყო არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინდოელი ხალხის ეროვნული ინტერესების მხარდაჭერა, არამედ მეგობრული დახმარება მაშინაც, როცა ჩვენს ქვეყანას უცხოეთის ავრესია და გარეშე ძალების სხვაგვარი ზემოქმედების საფრთხე ემუქრებოდა. საბჭოთა კავშირმა ბევრი რამ გააკეთა ინდოეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

ჩვენი ხალხების ეგზობრობა ფორმალური აქტი როდია. მას საფუძვლად უდევს ორი ხალხის ურთიერთინტერესები, რომლებიც ერთმანეთისადმი პატივისცემის, თანასწორობის გრძნობითა და ნდობით არიან განმსჭვალული. ხუმი წლის წინათ თქვენს ქვეყანაში ვიყავი და დღემდე ჩემს მეხსიერებაში წარუშლელ კვალად რჩება ინდოელი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების ულოთბილობა და კეთილგანწყობა, მათი სურვილი, რომ მოსავალშიც კეთილნაყოფიერად ვითარდებოდეს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა და თანამშრომლობა. ჯანატა პარტის მთავრობის პოლიტიკა მიზნად ისახავს არა მარტო ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის მრავალი წლის მანძილზე არსებული მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას, არამედ მის კიდევ უფრო განმტკიცებას, სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის განვითარების გზით მისი ახალი შინაარსით შევსებას.

ჩვენ დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელიც მუდამ იყო და არის ჩაგრული ხალხების უფლებათა ქომაგი და ერთგული დამცველი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის გამო ჩვენ გულითადად ვულოცავთ მეგობარ საბჭოთა ხალხს და მის მთავრობას მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მოპოვებულ გრანდიოზულ მიღწევებს. ინდოელი ხალხი, მისი მთავრობა ყოველ ღონეს მოახმარენ საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის ძალაში შესვლასთან ერთად დაიწყო ახალი ეტაპი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ისტორიაში, ეტაპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია არა მარტო თვალსაჩინო წარმატებები ჩვენი ქვეყნის შინაგანი განვითარების ხფერობა, არამედ უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძვრები საერთაშორისო ცხოვრებაში.

უკვე ექვსი ათეული წელიწადია, რაც სოციალიზმი წარმატებით მიიჯეკეს ჩვენს პლანეტაზე. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ძველ, როდესაც შეიძლებოდა ლაპარაკი მხოლოდ კომუნიზმის აჩრდილზე ევროპაში. დღეს სოციალიზმი, როგორც სახელმწიფოებრივი მშენებლობის მთავარი მიმართულება რეალურ, პრაქტიკულ ძალად იქცა ყველა კონტინენტის მრავალი ხალხისათვის.

ასეთ ვითარებაში სრულიად ლოგიკურია პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ავტორიტეტის ზრდა და მასთან ერთად კომუნისტური იდეების გავლენის სფეროების გაფართოება მთელ მსოფლიოში.

ჩვენი ქვეყნის მდიდარი გამოცდილება ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ის დაუშრეტელი წყაროა, რომელიც საშუალებას აძლევს სხვა ხალხებს უფრო სწრაფად და შედარებით იოლად დაძლიონ სოციალიზმზე გადასვლის პერიოდისათვის დამახასიათებელი ზოგი სირთულე. **ამიტომ თითოეულ ჩვენს მიღწევას ეკონომიკისა და საბჭოთა ადამიანთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების სფეროში, თითოეულ პოლიტიკურ აქციას თუ ხამართლებრივ ნორმას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს და მისი რეზონანსი დედამიწის შორეულ კუთხეებსაც კი აღწევს.**

თავის მოხსენებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ" სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ **საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის განხილვამ არა მარტო საყოველთაო-სახალხო, არამედ საერთაშორისო ხასიათიც მიიღო; ახალი საბჭოთა კონსტიტუციის ტექსტი აღფრთოვანებით მიიღეს ჩვენმა მეგობრებმა სოციალისტურ ქვეყნებში, მისდამი უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენგან განთავისუფლებულმა ახალგაზრდა სახელმწიფოებმა და კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებმა.**

ბუნებრივია, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ახალი საბჭოთა კონსტიტუციის იმ ნაწილმა, რომელშიც ასახულია სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და მმართველობა. მას ვერც ბურჟუაზიულმა პრესამ აუარა გვერდი.

ინგლისური „ტაიმსი", მაგალითად, წერდა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია აკავშირებს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან მიზნებს, გმობს და კრძალავს აგრესიულ ომებს და კვლავ ადასტურებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. გავლენიანი ამერიკული გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმსის" აზრით, საბჭოთა კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც საგარეო პოლიტიკას შეეხება, „ბევრ შემთხვევაში მკვიდროდ უკავშირდება ჰელსინკის დოკუმენტებს".

პროგრესულ პრესაში აღინიშნა არა მარტო სამართლებრივი ნორმების ფორმულირება, არამედ მათი პრაქტიკული მნიშვნელობა მეოცე მსოფლიოს შემდგომი განვითარებისათვის. ბელორუსის ჟურნალი „ფალესტინ ას-საურა", მაგალითად, შენიშნავს, რომ საბჭოთა კონსტიტუციაში ასახულია მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის ამოცანები; სსრ კავშირის კონსტიტუცია, — განაგრძობს ჟურნალი, — შთაგონებას დაუშრეტელი წყაროა მთელი პლანეტის პროგრესული და დემოკრატიული ძალებისათვის.

„სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია, — ნათქვამია კონსტიტუციაში, — **უზრუნველყოს, რომ ხელშეწყობა საერთაშორისო პირობები შეექმნას სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებას, დაიცვას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები, განამტკიცოს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, მხარი დაუჭიროს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, აღკვეთოს აგრესიული ომები, მიაღწიოს საყოველთაო და სრულ განიარაღებას და თანამიმდევრულად განახორციელოს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი".**

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლის ტექსტში საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ შეტანილი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი დამატება და სარედაქციო შესწორება. მას შემდეგ, რაც ამ მუხლში აღინიშნა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლის მნიშვნელობა, მან უფრო სრულყოფილი და დასრულებული სახე მიიღო.

ამ მიზნების მიღწევას საბჭოთა სახელმწიფო ითვალისწინებს იმ ძირითადი პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოთვლილია 29-ე მუხლში: სუვერენული თანასწორობა, ძალის გამოუყენებლობა, საზღვრების ურღვევობა, ტერიტორიული მთლიანობა, დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ადამიანის უფლებათა პატივისცემა; ხალხთა თანასწორუფლებიანობა, სახელმწიფოთა თანამშრომლობა; საერთაშორისო ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

ამრიგად, ის დებულებები, რომლებიც წამოყენებული იყო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ სრულიად ევროპის თანხმობის მსჯელობაში და შეიტანა ჰელსინკში ხელმოწერილი საბოლოო აქტის ტექსტში, ჩვენი კონსტიტუციური სამართლის ნორმად იქცა. ეს გარემოება ალასტურებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული პრინციპები არა მარტო გარკვეული საერთაშორისო მოლაპარაკების შედეგია, არამედ თვით სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარეობს.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ახალი კონსტიტუციის 73-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის გამგებლობას, სხვა საკითხებთან ერთად, განეკუთვნება „ზავისა და ომის საკითხები, სსრ კავშირის სუვერენიტეტის, სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიის **დაცვა, თავდაცვის ორგანიზაცია,** სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა", ხოლო 121-ე მუხლში მითითებულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში **სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში** ან აგრესიისგან **ერთობლივი თავდაცვის** საერთაშორისო ხელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების აუცილებლობის შემთხვევაში აცხადებს ომის მდგომარეობას" (ხაზი ყველგან ჩემია — ე. შ.).

მაშასადამე, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, კონსტიტუციის ძალით, აწარმოებს მხოლოდ **თავდაცვითს ომს** მასზე ან მის მოკავშირეებზე თავდასხმის შემთხვევაში. როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში აკრძალულია არა მარტო აგრესიული ომები, არამედ ომის პროპაგანდაც (მუხლი 28-ე).

შედარებისათვის გადავხედოთ ზოგ ბურჟუაზიულ კონსტიტუციას. მაგალითისათვის ავიღოთ თურქეთი — ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო პაქტის ერთადერთი წევრი სახელმწიფო, რომელიც საბჭოთა კავშირის (მათ შორის საქართველოს) საზღვრებს ეკვრის. თურქეთის სახელმწიფოს ძირითადი კანონის 26-ე მუხლში ნათქვამია მხოლოდ ის, რომ მეჯლისის გამგებლობაში შედის **„ომის გამოცხადება"** და არაფერია ნათქვამი ომის თაობაზე, თუ რა ხასიათის ომზეა ლაპარაკი. ასევე წერია მეტი წილი კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციებში.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბუნებას კიდევ უფრო ნათლად მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. პირველი მუხლის მერვე კარში აღნიშნულია: **„კონგრესს აქვს უფლება:... გამოაცხადოს ომი, გასცეს საკაპერო მოწმობები და რეპრესალიების ნებართვანი და დააწესოს ხმელეთსა და ზღვაზე მიტაცებათა წესები".**

როგორც ვხედავთ, იმპერიალიზმი აქ ნიღაბანდილი გვევლინება: დაკანონებულია არა მარტო ყოველგვარი ომების წარმოება, არამედ ფაქტიურად მეკობრეობა, დამსჯელი ექსპედიციები და სხვისი მიწა-წყლის ძარცვა. ძნელი არ არის იმის გარკვევა, თუ რამდენად სცილდება ამერიკის კონსტიტუციის ეს ნორმა ჰელსინკის თათბირის საბოლოო დოკუმენტს, რომელსაც სხვათა შორის შეერთებული შტატების პრეზიდენტმაც მოაწერა ხელი.

ზოგი წამყვანი ბურჟუაზიული ქვეყნის კონსტიტუციაც შეიცავს დებულებას აგრესიული ომების წარმოების აკრძალვის შესახებ. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 26-ე მუხლის პირველი პარაგრაფი გვაუწყებს: „მოქმედებანი, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ ხალხთა მშვიდობიანი, ერთობლივი ცხოვრება, კერძოდ აგრესიული ომის მომზადება, **ანტიკონსტიტუციურია".** იტალიის კონსტიტუციის მე-11 მუხლი აცხადებს: „იტალია უარყოფს ომს როგორც სხვა ხალხების თავისუფლებაზე თავდასხმის იარაღს და საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრის საშუალებას". ანალოგიური დებულება შეტანილია **იაპონიის** კონსტიტუციაშიც.

მაგრამ იბადება კითხვა: **რაშია საქმე? ნუთუ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ტრანსფორმაციის შედეგად იცვლება მისი ბუნება? ცხადია, არა.**

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ნორმები ბურჟუაზიული სამყაროს იმ ქვეყნების ძირითად კანონში შევიდა, რომლებიც დამარცხდნენ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში (გერმანია, იტალია, იაპონია), და რომლებიც, მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებათა ძალით, დემილიტარიზებული იყვნენ. ეს პროცესი ნებაყოფლობითი არ ყოფილა, იგი ანტიფაშისტური კოალიციისა და, პირველ ყოვლისა, საბჭოთა ხალხის გმირობის შედეგად მოხდა. როგორც ცნობილია, ფაშისტური ქვეყნების დემილიტარიზების ინიციატორად გამოდიოდა საბჭოთა მთავრობა და არა დასავლეთის ქვეყნები.

ამრიგად, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების დღეებში კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა ის პრინციპული განსხვავება, რომელიც ორ სხვადასხვა სოციალურ სამყაროს შორის არსებობს.

დღეს, როდესაც საბჭოთის ქვეყანა სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარების, მისი გაღრმავებისა და შემდგომი სრულყოფის ახალ სტადიაში შედის, მრავალი კაპიტალისტური სახელმწიფო სოციალური ორგანიზაციისა და პოლიტიკური სისტემის მძიმე კრიზისს განიცდის. როგორც დასავლეთგერმანული ბურჟუაზიული გაზეთი **„დი ველტ"** წერს, „სენის ნიშნები უკვე მრავალი წელია, რაც ყველგან მოჩანს, და ეს სენი უმთავრესად იმით როი გამოიხატება, რომ აქა თუ იქ არ არსებობს საპარლამენტო უმრავლესობა... სავალალო ის არის, რომ არსებული უმრავლესობა ხელისუფლების სათავეში მდგომმა პარტიებმა კი არ მოიპოვეს, არამედ ეშმაკობით მიაღწიეს მას, და რომ ამ უმრავლესობაზე დაყრდნობით ვერაფერს სოლიდური ვერ განახორციელებ... ისმება კითხვა: მართალია თუ არა დღეს დასავლეთის სამყარო?".

კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ფონზე სოციალიზმის განუხრელი და თანამიმდევრული განვითარება ნათლად ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორეს და მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიულ გამოცდილებას.

ედ. მენაბდე,

პოლიტიკური მიმომხილველი.

მხატვრის თვალით

მშვიდობა — მსოფლიოს, თავისუფლება— ხალხებს! 1917-1977

პოლონელი მხატვრების კრისტინა და მეი იანიშევსკების ნახატი.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲗ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲘ

სსრ კავშირი განუხრელად ახორციელებს ლენინურ მშვიდობის პოლიტიკას, იღვწის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან.

□

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲑᲐᲥᲝ. (საკუთარი კორ.). ... აქ მუშაობა დაამთავრა საქართველოს ... ველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო ორგანიზაციების, აგრეთვე რუსეთის სფსრ საზოგადოება „ცოდნის" მომიჯნავე რესპუბლიკური ორგანიზაციების გამგეობების რეფერენტთა რესპუბლიკურმა სემინარმა, რომელიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სალექციო პროპაგანდის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს მიეძღვნა.

სემინარი გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. გოგოხიამ.

სემინარის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელშიც მზურვალედ დაუქირეს მხარი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი.

მოხსენება — საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციების ამოცანები ამ საზოგადოების VII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სალექციო პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებისათვის — გააკეთა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ფაშუკანმ.

მოხსენება თემაზე „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში" გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის პროფესორმა მ. მიხაილოვმა.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის ... ტრებზე ... ბრძოლის ... ...

ახალი ტანკერი „გენერალი მერკვილაძე“

ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად...



საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შეემატა ახალი ტანკერი „გენერალი მერკვილაძე“, მას ეს სახელი მიენიჭა დიდი სამამულო ომის წლებში სახელგანთქმული გამანადგურებელი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის გარი მერკვილაძის პატივსაცემად.

ახალი ტანკერი ააგო ხერსონის ლენინის ორდენოსანი გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა. ეს საექსპლოატაციოდ ძალზე მოხერხებული თანამედროვე გემი აღჭურვილია უახლესი ელექტრონულ-სანავიგაციო აპარატურით, ავტომატიკით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამანქანო განყოფილებაში უვახტო სამსახური.

ახალი გემის სიგრძე 179 მეტრია, სიგანე — 25 მეტრი, ტვირთამწეობა — 25 ათასი ტონა.

ტანკერის ეკიპაჟი თვის პირველ რეისს უძღვნის სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას. ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად გემზე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რეისის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

ახალ გემს შორეულ ნაოსნობაში მიუძღვის ლევ სოლდატკინი. მისი მესამე თანაშემწეა სახელგანთქმული გენერლის შვილი ოთარ გარის ძე მერკვილაძე.

• • •

სურათებზე: საქართველოს საზღვაო ნაოსნობის ახალი ტანკერი „გენერალი მერკვილაძე“; ტანკერის საპაჭო ჯიხური (მარცხნიდან): კაპიტანის მეორე თანაშემწე გიორგი კვიკვიძე, კაპიტანი ლევ სოლდატკინი და კაპიტნის მესამე თანაშემწე ოთარ მერკვილაძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მტკიცდება მეცნიერთა თანამშრომლობა

დამთავრდა ონკოლოგთა თბილისის შეხვედრა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის სხდომათა დარბაზში მუშაობა დაამთავრა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ექსპერტთა თათბირმა პრობლემაზე „ავთვისებიან სიმსივნეთა ეპიდემიოლოგია“. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლები.

გაიმართა ინფორმაციის გაზიარება იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ეწევა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიურ საეცნიერო ცენტრთან არსებული გინეკოლოგიური კიბოს ეპიდემიოლოგიის ეროვნული საკოორდინაციო ცენტრი.

ეროვნული საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა ლ. ჩარკვიანმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— ჩვენი ცენტრი 1966 წელს შეიქმნა. რამდენიმე წლის წინ იგი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების გინეკოლოგიური კიბოს ეპიდემიოლოგიის შემსწავლელ მეთაურ ცენტრად იცნეს. ჩვენ ერთობლივ კვლევას ვეწევით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, მონღოლეთის ონკოლოგებთან ერთად. სიტყვამ მოიტანა, და სწორედ თბილისში მოამზადა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მონღოლმა სპეციალისტმა ს. დორჯმა.

ონკოლოგთა თბილისის შეხვედრაზე ჩვენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტებს დავუდგინეთ ხელშეკრულებანი საქართველოში პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ავთვისებიან სიმსივნეთა გავრცელების შესწავლისა და მათთან ბრძოლის საქმეში ერთობლივი მეცნიერული კვლევის შესახებ.

კიბოს დაავადების გეოგრაფიული გავრცელების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ავთვისებიან სიმსივნეთა გაჩენის მიზეზების გამოვლენისა და მათთან ბრძოლისათვის.

ავთვისებიანი სიმსივნეები ყველგან არის გავრცელებული, მაგრამ დაავადებული ორგანოების მიხედვით სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელება ყველგან ერთნაირი როდაა. ეს დამოკიდებულია გარემო ბუნებრივ პირობებზე (ნიადაგი, წყალი, ატმოსფერო, ჰაერი, და ა. შ.) და ხელოვნურ პირობებზე (ყოფითი ჩვევა, პროფესია, კვება და სხვ.). მაგალითად, დადგენილია, რომ კუჭის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა იაპონიაში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო ფილტვის კიბოთი სიკვდილიანობის სტატისტიკა ამ ქვეყნებში საწინააღმდეგო სურათს გვიჩვენებს.

ჩვენი ცენტრი ინტენსიურად მუშაობს იმ მიზეზების გამოსავლენად, რომლებიც ხელს უწყობს ქალის კიბოვანი სიმსივნეების განვითარებას ან ამ პროცესის შენელებას. მედიკოსებს აღნიშნული მიზეზების ცოდნა მეტ შესაძლებლობებს აძლევს ფართო გამაჯანსაღებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების განსახორციელებლად.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ავთვისებიან სიმსივნეთა ეპიდემიოლოგიის ექსპერტთა შემდეგი თათბირი ბერლინში მოეწყობა მომავალი წლის მარტში.

(საქინფორმი).

□

საქართველოს დარგაზიდან

გასამართლებულია თაღლითობისათვის

ე. ჭურღულაშვილმა გადაწყვიტა სხვების გულუბრყვილობაზე მოეთბო ხელი. მის ანკეტს პირველად ცოლ-ქმარი წამოეგო. ისინი ოროთახიან ბინას ეძებდნენ. ჭურღულაშვილი შეჰპირდა მათ, რომ ბინას უშოვნიდა და 3.700 მანეთი ჩაჯიბა. მორიგ მსხვერპლს „გაწეული სამსახურისათვის“ 2740 მანეთი გამოართვა, მესამეს კი, რომელსაც თბილისში ჩაწერას შეჰპირდა, 1000 მანეთი.

დრო გადიოდა, ჭურღულაშვილს დაპირება კი დაპირებად რჩებოდა. მოტყუებულები მიხვდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე და ფულის დაბრუნება მოითხოვეს.

თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელსაც ვ. შადური თავმჯდომარეობდა, თაღლითს ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა და დაზარალებულებისათვის მოტყუების გზით წართმეული ფულის დაბრუნება დააკისრა. (საქინფორმი).

ოლიმპიადა არგენტინაში?

როგორც ფიდეს პრეზიდენტმა პროფესორმა მაქს ეიუენ განაცხადა, მან მიიღო არგენტინის საჭადრაკო ფედერაციის წინადადება 1978 წლის ივლისა და ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადების ამ ქვეყანაში გამართვის შესახებ.

ეიუენმ გაითვალისწინა ამ ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური სიტუაცია და არგენტინელებს „ყოველი შემთხვევისათვის“ 300 ათასი დოლარის შეტანა მოსთხოვა ერთ-ერთ ბანკში, იმ პირობით, რომ, თუ შემდეგ არგენტინეში ეს შეჯიბრების გამართვაზე უარს იტყვიან, ეს თანხა ფიდეს დარჩება. არგენტინელებმა დაკმაყოფილეს პრეზიდენტის ეს მოთხოვნა.

— მოკლედ

მეკლდეურობა. როგორც ყოველთვის, სსრ კავშირის ჩემპიონობის ტრასები წელსაც ყირიმში, სახელგანთქმული მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის სახელობის კლდეზე გადიოდა. ასპარეზობის ვადები დაემთხვა ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის დაწერგვის 30-ე წლისთავს. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ინდივიდუალურ და წყვილთა ცოცვაში, ციცაბოთა „შეკრულ ჯგუფებად“ გადალახვაში. მრავალჯერადი საუკეთესო შედეგებით გაიმარჯვეს სვერდლოვსკელმა თ. სამოილოვამ და ლენინგრადელმა ვ. მარკელოვმა. გუნდებს შორის ყველას აჯობა კრასნოიარსკის მხარის ნაკრებმა.

წყალბურთი, ბაქოში მიმდინარეობს საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი წრე ოქლიერისი გუნდების მონაწილეობით. გაიმართა სამი ტური და სამი გამარჯვება იზეიმა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა. იგი ახლა 46 ქულით ლიდერობს პირველობის. მეზღვაურებს ერთი ქულით ჩამორჩებიან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ეძღვნება დიად ოქტომბერს

მეგობრობის მუზეუმში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ბადურაშვილმა.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ს. რეხვიაშვილის მოხსენება „ქართველი რევოლუციონერები სამოქალაქო ომის წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში“.

მოხსენებები თემებზე: „რუსი და ქართველი ხალხსენების რევოლუციური თანამეგობრობის ისტორიიდან“, „ა. ს. პუშკინი გზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე“, „მხატვარ დ. ერისთავის შემოქმედება“, „პოლონეთ-საქართველოს თანამედროვე ლიტერატურული ურთიერთობა“, „სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა გრაფიკული ციკლი „ომის სამინელებანი“ წაიკითხეს მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომლებმა დ. შველიძემ, ზ. ქშოსუბერამ, ნ. ხალიაკინამ, მ. ფილინამ, ი. აბესაძემ. მუზეუმის ინფორმაციის განყოფილების გამგემ ლ. ლეკიშვილმა თ ა ვ ი ს მოხსენება მიუძღვნა ახალ საარქივო მასალებს ლეგენდარული არსენა მარაბდელის შესახებ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დედაქალაქის სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. (საქინფორმი).

„ეკონომისტი №“ 9

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „ეკონომისტის“ მორიგი, მეცხრე ნომერი.

რუბრიკით „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის“, ჟურნალი განაგრძობს საბჭოთა ქვეყნის დიადი იუბილესადმი მიძღვნილი მასალების ბეჭდვას.

1977 წლის 13 ოქტომბერს მოწვეულია საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი

დღის წესრიგი:

„საქართველოს სსრ საზოგადოება „ც ო დ ნ ი ს“ ორგანიზაციების ამოცანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ს ა კ ა ვ შ ი ს ი ს ა ბ ჭ ო ს ა ნ ა ბ ა ზ ა ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი ს ა ნ ა ბ ა ზ ა ლ ი ს ა ბ ა ბ ა ნ